საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კონსტანტინე ბატონიშვილი

კონსტანტინე ბატონიშვილი (VII. 1789, – 3. V. 1844, მოსკოვი), იმერეთის მეფე, დავით II-ის ძე, გენერალ-მაიორი. 3 წლის კ. ბ. მამამ ერთგულების ნიშნად სოლომონ II-ს მძევლად დაუტოვა. დავით II-ის მიერ ტახტის დაბრუნების მცდელობის გამო 1792 სოლომონმა უფლისწული მუხურის ციხეში ჩაკეტა. 1803 რუს. მთავრობის მოთხოვნით სოლომონ II-მ კ. ბ. გაათავისუფლა და იმერეთის ტახტის მემკვიდრედ ცნო. შემდეგში სოლომონმა შეძლო ახალგაზრდა უფლისწულის შემორიგება. იმერეთის სამეფოს გაუქმების (1810) შემდეგ კ. ბ. პეტერბურგს გაემგზავრა და კაზაკთა ლაიბგვარდიის პოლკში ჩაირიცხა როტმისტრად. მონაწილეობდა რუსეთის 1812 სამამულო ომში. დააჯილდოვეს წმ. ვლადიმირის ორდენით. მისი შვილები (დავითი, გიორგი, კონსტანტინე, ნიკოლოზი, ალექსანდრე) რუსეთში *იმერეტინსკებად* იწოდებოდნენ.

ლიტ.: დ უ მ ბ ა ძ ე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957; კ ა კ ა ბ ა ძ ე ს., კალმასობა დასავლეთ საქართველოს შესახებ, საისტორიო კრებული, ტფ., 1929, [ტ.] 4; რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი მ., იმერეთის სამეფო 1462–1810 წწ., თბ., 1989.

ო. სოსელია